

# საბუნების

გაზეთის XXXVIII წელი, ვაჟი 2 მან.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი კოლმეურნეობები არ ზრუნავენ სასუქის შესანახი საწყობების აშენებისათვის. მინერალური სასუქების დიდი ნაწილი დიდხანს რჩება ღია ცის ქვეშ, რის გამოც სიფიტება და ფუჭდება.

— ყოველთვის გზის პირას რომ მყრიან სახუქს, აქ რომ არ აპირებენ მოხავლის მოყვანას?

ნახ ჯ. ლოლუაში



# მოვანყოთ ვალახალვა

ტელეხედვა თბილისის პირ-  
შოა. იგი სულ სამი წლისა და  
უკვე იმხელა პოპულარობით სარ-  
გებლობს, რომ მის ფილმებს, რო-  
მლებზედაც ბავშვები 16 წლამდე  
არ დაიშვებიან, სკოლამდელი ასა-  
კის ბავშვებიც კი ესწრებიან.

მისი ასეთი პოპულარობა შემთხვევითი როდია. ამ წარმა-  
ტებას, გარდა ტექნიკური უმწიკვლოებისა, გადაცემათა უზა-  
დოდ შედგენილი პროგრამების უწყობენ ხელს. ტელევიზორი  
რომ უკიდურესობამდე პოპულარულია, ამას, გარდა იმისა,  
რომ ჩემი მეუღლე სახელის ნაცვლად 24 საათი ტელევიზორს  
მეძახის, ისიც მოწმობს, რომ ჩვენ ორი ბავშვით მთელი დღე  
მეზობლის ოთახში ვსხედვართ და ცოფიანებივით თვალმზა-  
სისხლულები ვუმზერთ ეკრანს და ველოდებით როდის გამოჩნ-  
დება, ბოლოს და ბოლოს, ფარდა, რომელიც იმდენად ძვირ-  
ფასია, რომ ტელეხედვის რეჟისორები ოთხსაათიან გადაცემა-  
ში ერთ საათს ამ ფარდის დემონსტრირებას უთმობენ.

მე პირადად კმაყოფილი ვარ ტელეხედვით და გადაცე-  
მათა პროგრამით, მაგრამ მინდა ჩემი თავმდაბალი კორექტი-  
ვები შევიტანო აღნიშნულ საქმეში და მორიდებით შევთავაზო  
ტელეხედვას მცირედი წინადადებანი.

განყოფილებას „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, რომელსაც  
კვირაობით დღის 12 საათზე გადმოსცემენ, კარგი იქნება თუ  
გადაიტანენ ღამის 12 საათისათვის, რადგან ამ დროს ბავშვები  
სახლში არიან და ივარჯიშის შემდეგ პირდაპირ ლოგინში  
შეგორდებიან.

როდესაც ახდენენ ძველი ფილმების დემონსტრირებას და  
როდესაც დიქტორი აცხადებს:

## გულგანძობის განსაჯირი

ნახ. ა. კანდელაკისა



— ერთი ხაათია კარებთან დგახარ, შედი, რაღას უცდი?  
— ვფიქრობ და ვერ მომიგონებია, გუშინ რა დამავალა-  
მმართველმა გახაკეთებლად!

— ძვირფასო ტელემაყურებლებო, ფირის სიძველის გამო  
ფილმი წავა ხარვეზებით, — სასურველი იქნებოდა თუ დიქტორი  
რის ტექსტს წაემატება შემდეგი წინადადება:

— უფრო ძვირფასო მაყურებლებო, ამას კიდევ დაერთვე-  
ბა გადმოცემის ტექნიკური ხარვეზები და ფილმი სიძველის  
გამო საერთოდ არ გავა, — მერე ღიმილი და — ნახვამდის, მე-  
გობრებო!

შესანიშნავ შთაბეჭდილებას ახდენს უკანასკნელი ცნობების  
ის ნაწილი, სადაც კინოფირის ნაცვლად ეკრანზე აჩვენებენ  
ფოტოსურათებს, რომლებსაც დიქტორის ტექსტი ვერაფრით  
ვერ ეწევა ხოლმე. სურათების ჩვენება გაცილებით დიდ შთა-  
ბეჭდილებას მოახდენდა, თუ მას უფრო დიდხანს გააჩერებდ-  
ნენ ეკრანზე, რაც საშუალებას მისცემდა მაყურებელს დაემახ-  
სოვრებინა ფოტოზე აღბეჭდილი პირნი.

აღტაცებას იწვევს სპექტაკლების გადმოცემისას დარბაზის  
გაუფრთხილებლად ჩართვა. ეს მაყურებელს აჩვევს ადგილზე  
გაუძირველად ჯდომას. ამ დროს არ არის საჭირო არავითა-  
რი მუსიკალური ანტრაქტები (ამ მხრივ ჩვენს ტელესტუდიასთან  
სასაყვედურო არაფერი გვაქვს). საჭიროა მხოლოდ ფარდა,  
რადგან ჩამოშვებული ფარდა აქაც საოცრად აწყნარებს ნერ-  
ვებს, ისევე, როგორც თეატრებში.

არ არის ინტერესმოკლებული კონცერტები ტელემაყურე-  
ბელთა თხოვნით. ძალიან კარგია, რომ ხშირად მეორდება  
ერთი და იგივე ნომრები, განსაკუთრებით კარგია, როდესაც  
ტელეხედვას დენთი შემოაკლდება და დიქტორი მოხერხებუ-  
ლად გამოაცხადებს:

— უამრავ მაყურებელთა თხოვნით ნაჩვენები იქნება სახა-  
ნძრო რაზმის დაკვეთით გადაღებული ახალი დოკუმენტური  
ფილმი „არ დაგრჩეთ გამოურთველი უთო“.

შეიძლება ამ საქმეს მიეძღვნას მთელი კვირის პროგრამა  
და ერთმანეთზე მიყოლებით ნაჩვენები იქნას ამ თემაზე გადა-  
ღებული ფილმების მთელი სერია. „არ მისცეთ ბავშვებს სახ-  
ლის დაწვის ნება“, „არ დატოვოთ ცეცხლმოკიდებულ სახლში  
ძუძუმწოვარა ბავშვები“, „ხანძრის შემთხვევაში დარეკეთ  
— 01“ და სხვა.

უბაღლოა თავისი შინაარსით საბავშვო გადაცემები და გა-  
დაცემები ყველაზე პატარებისათვის, რომლებსაც ამ გადაცემე-  
ბის დროს ჩვეულებრივ სძინავთ. ფასდაუდებელია გამო-  
ცანების როლი ბავშვთა გონებრივ წვრთნაში, წარმოიდგინეთ  
გაღიმებული დიქტორი იდუმალებით მოკული ხმითა და გა-  
მომეტყველებით როგორ ანდობს პატარებს დაახლოებით ასეთ  
გამოცანებს:

— ბავშვებო, კარგად დაუფიქრდით, არ იჩქაროთ, მოი-  
ფიქრეთ, მოისაზრეთ და მიპასუხეთ:

პატარაა, ყვითელია, წიაგ-წიაგს იძახის, კვერცხიდან იჩე-  
კება, თან კრუხი დასდევს. — რა არის ბავშვებო?

აბა ახლა ეს გამოიცანით:  
მწვანე მცენარეა, ახალწლობით შუა ოთახში დგამენ, ზედ  
სათამაშოებს კიდებენ, ქვეშ თოვლის ბაბუა უდგას, აბა გამოი-  
ცანით, ბავშვებო!

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ასე რთული გამოცანებით  
ბავშვების გონების გადატვირთვა ცოტათი უხერხულია. ამი-  
ტომ გამოცანები უფრო უნდა გამარტივდეს, დაახლოებით ასე:

— თეთრია, რძის ნაწარმია, წყნეთიდან ვირებით ჩამოა-  
ქვთ გასაყიდად, ეზო-ეზო დადიან და ყვირიან: — მაწოოონი!  
აბა რა არის, ბავშვებო? ან:

— მიაღრუნტავს, მიაღრუნტავს, კრელ-კრელი გოჭები  
ახლავს, უყვარს რკო, მუცელზე რომ მოფხან, წამოწეება. მი-  
სი სახელი „ლ“-თი იწყება და „ი“-თი მთავრდება. აბა იფიქ-  
რეთ, ბავშვებო, რა უნდა იყოს?

ვფიქრობ, ასე გაცილებით გაადვილდება მუშაობა. სხვა  
მხრივ ტელევიზორს არაფერი უჭირს, ელექტროენერგიას  
ცოტას ხარჯავს და, როგორც ნივთი, ძალიან ღიაა.

— მომავალ შეხვედრამდე, მეგობრებო!  
— Доброй ночи, друзья!



ნახ. ნ. მაღაზონიასი

მეზობლების სიყვარულით შეკრული

სახერგეში გავეშურე,  
მომენტრა მამიდა.  
დატვირთული ავტობუსი  
როცა სადგურს გასცილდა,  
მძლოლმა კარი გამოაღო,  
შემოვარდნენ მგზავრები,  
უშველებელ ჩემოდნებში  
კურდღელივით გავები.  
ერთმა ნავთი გადამასხა:  
— რა ვქნა, შვილო, გამოდის...  
მეორემ კი მომბაჯინა  
კასრი სავსე ტაოტით.  
მძლოლმა ჯიბე ამოივსო,  
ჩვენთვის სუნთქვა გაჭირდა;  
ამოსვრილი, გალახული  
ველარ მიცნო მამიდამ.

6. შამანაქი

# მეზობლები

მომავალი ჩემი ბიოგრაფი, როდესაც დაჯდება ჩემი დაბადების ამბავის წერად, უპირველესად ყოვლისა, ალბათ, იმას აღნიშნავს, რომ მე დავიბადე 1960 წლის 1 იანვარს სასწრაფო დახმარების მანქანით თბილისსა და მცხეთას შორის მოგზაურობის შემდეგ... იმისათვის, რომ აზრთა სხვადასხვაობამ ჩვენს მემკვიდრეთა შორის მიწვევ-მოწვევა და უხეში სიტყვებით გამასპინძლება არ გამოიწვიოს, იძულებული ვარ ახლავე აღვნიშნო, რომ ის მანქანა ჩვეულებრივ სასწრაფო დახმარების მანქანას წარმოადგენდა. თუ ჩემს ისტორიკოსს ნივთიერი მტკიცებისათვის დასჭირდება მანქანის ნომერი, ახლავე შეუძლია მიაკითხოს მცხეთის ავტონსპექციას და ფაქტის სიზუსტისათვის ახლავე ჩამოკიდოს მარმარილოს გაკრიბებული ნაჭერი... (რადგან ხშირია მანქანათა ფერისცვლება).

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ჩემს ბიოგრაფსა და ჯანმრთელობის დარგის მუშაკებს შორის, ვიცი, ატყდება ხელჩართული ბრძოლა და მიწვევ-მოწვევა:

— როგორ თუ სასწრაფო დახმარების მანქანით მოგზაურობა! ვანა ჩვენს კოლეგებს სამშობიარო სახლი არა ჰქონდათ მცხეთაში? ან მებანე-გინეკოლოგები არ იყვნენ იქ?

მე არ შემიძლია არ გავითვალისწინო ზოგიერთი წვრილმანი და ახლავე არ

ვურჩიო ჩემი ცხოვრებით დაინტერესებულ მემკვიდრეთ, რათა ამ წერილის წაკითხვისთანავე სასწრაფოდ მოძებნონ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილება და აიღონ ცნობა, რომ მცხეთის საავადმყოფოს პროექტი უკვე ორი წელია გადაიქცა მტვრის განფენის და დაგროვების ადგილად და, როცა მომავლის ყველა სამზადისს მორჩებიან, ისიც შეუძლიათ დაუბნონ, რომ მცხეთაში სამშობიაროდ გამოყოფილ ოთხსაწლიან ოთახში უმეტესად 12 ავადმყოფი განიცდის დედური სიყვარულის მოზღვავებულ გრძნობას.

დიახ, პატივცემულო ისტორიკოსნო, თადარიგი ამ ქვეყანაზე ბევრს ნიშნავს და რამდენიმე წლის გავლის შემდეგ ეს ჩემი რჩევა-დარიგება შენახული ფულივით გამოგადგებათ.

სხვა ჩემი დაბადების დღეს არაჩვეულებრივი არაფერი ყოფილა, მოქმედება განვითარებულია სრულიად ჩვეულებრივად და ნორმალურად: ბებიამჩემს, ცხოვრებაში ნაცადსა და ნაჭირნახულებს, პირველი შეძახებისთანავე მანქანა გამოუძებნია და დედაჩემისათვის ხუთ წუთში მცხეთის საავადმყოფოში ამოუყოფინებია თავი.

— ადგილი არ არის.— უთქვამს ექთანს.

— ვაი!.. ვაი!..— დაუძახნია დედაჩემს.

— ვაიმე!.. ვაიმე!..— დაუმატებია ბებიამჩემს.

— ვუუ!.. ვუუ!..— დაუძახნია მანქანას და ოც წუთში თბილისის დედათა და ბავშვთა ინსტიტუტში გამოცხადებულა.

— მცხეთელებისათვის ადგილი არ არის!— უთქვამს მორიგე ექიმს.

— მცხეთელებს კი არა, თბილისელებსაც ძლივს ვუვლით,— დაუმოწმებია ექთანს და ისევ მცხეთისკენ მიუთითებია... მამაჩემს აუტეხია კამათი, ჩხუბი, მიწვევ-მოწვევა, ამას დედაჩემის გონების დაკარგვა დამატებია და სასწრაფო დახმარების გამოცდილ ავტომძღოლს ისევ მცხეთის მიმართულებით მიუღუნია საჭე; ასე რომ, ჩვენ ისევ მცხეთაში დავბრუნებულვართ და ისევ მცხეთაში დავბადებულვართ... ჩემი დაბადებისთანავე ამტყდარა თოფების სროლა, ახალწლის დადგომა, მილოცვები და ხვეწნაკოცნა, ავტომძღოლს თოფების ხმა მოსწონებია და უთქვამს:

— ეგეც აგრე, ვითომც ჩვენ გაგვისროლიათ.— ხოლო ექთანს დედის სული დაუფიცნია:

— ბედნიერი იქნება, ბევრი თოფი გავარდაო...— ეს არის და ეს... როგორც აღვნიშნე, ამბავთა განვითარებაში არაფერია ისტორიული და არც პრეტენზიას ვაცხადებ... სხვა კი თქვენ იცოდეთ, ისტორიკოსნო და ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთნო მუშაკნო!

3. კახელიშვილი



საჩუქრების მალაზიაში რომ საქონელს საჩუქრად ცარ ბაქ ლეოდენენ, ეს დიდი ხანია ვიცოდი, მაგრამ, თუ საჩუქრებს „საჩუქრის“ გარეშე არ ჰყიდდნენ, ეს მხოლოდ ახალი აღმოჩენა ჩემთვის.

ჩემმა მეგობარმა ახალი ბინა მიიღო. მისი სიხარული მეც გავიზიარე და განვიზრახე ისეთი ნივთი მეყიდა საჩუქრად, რომ მუდამ სახსოვრად ჰქონოდა. საოჯახო თათბირზე, რომელიც გვიან ღამით დამთავრდა, მიღებული იქნა ერთსულლოვანი გადაწყვეტილება, რომ საჩუქრად ტელევიზორის გადასაფარებელი მიგვეტანა მეგობრისათვის. ამ ნივთის უპირატესობა, სხვებთან შედარებით, ის არის, რომ მას სატელევიზიო გადმოცემის დაწყებისა და დამთავრების შემდეგ მეგობარი ხელთ შეეხება და კეთილად მოგიგონებს.

მეორე დღეს საჩუქრების მალაზიას მივაკითხე და მალე აღმოვაჩინე ჩემთვის საჭირო ნივთი.

— გთხოვთ გამომიწეროთ ტელევიზორის გადასაფარებელი, — მივმართე გამყიდველ გოგონას.

— ტელევიზორის გადასაფარებელი ცალკე არ იყიდება, ბატონო, მას თან ახლავს მაგიდის გადასაფარებელიც. გადაიხადეთ 365 მანეთი და მიიღებთ ორივეს.

— კი მაგრამ, მე ტელევიზორის გადასაფარებელი მინდა ვაჩუქო მეგობარს და არა მაგიდის.

— ორივე უყიდეთ და უფრო გაეხარდება თქვენს მეგობარს, — მომცა რჩევა გამყიდველმა. — ისე კი, უფროსების განკარგულებით, ჩვენთან დამატების გარეშე თითქმის არაფერი იყიდება, — ავტორიტეტულად განმიმარტა მან.

რალას ვიზამდი. იძულებული გავხდი 180 მანეთის ნაცვლად 365 მანეთი გადამეხადა. ამას კიდევ ცოლის გაუტყავებელი საყვედურები მოჰყვა საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის.

ამ გარემოებამ ძალიან დამაფიქრა. ვფიქრობდი იმაზე, თუ რა მოხდებოდა საჩუქრებისა და თბილისის ზოგიერთი სხვა მალაზიის ვაჭრობის ეს ახალი მეთოდი რესტორნებსა და სასადილოებშიც რომ გამოეყენებინათ?! მაშინ მომხმარებელსა და ოფიციალტს შორის დაახლოებით ასეთ დიალოგს ექნებოდა ადგილი:

— გთხოვთ ბორში მომიტანოთ.  
— ბორში ცალკე არ იყიდება, ბატონო, მასთან ერთად ერთი ულუფა ქაშაყი და 2 ულუფა კომპოსტოს მწნილი უნდა მიიტრთათ.

— მაშინ შემწვარი წიწილი მომიტანეთ.  
— შემწვარი წიწილი ჩვენთან მოხარშულ ინდაურთან და 3 ულუფა ხიზილალასთან ერთად იყიდება.

— გოჭის ხორცი მაინც მომიტანეთ ერთი ულუფა.  
— გოჭის ხორციც არ არის ცალკე. თუ გნებავთ, მასთან ერთად 2 ულუფა ბორშს მოგართმევთ.

— შე კაი კაცო, ღვინო მაინც მომიტანე ერთი ბოთლი, პური და მწვანელი.

— არც ეგ არის, ბატონო, მასე ადვილი; ერთ ბოთლ ღვინოს უნდა მოჰყვეს 2 ბოთლი კონიაკი და ერთი ბოთლი ძმარი.

— ძმარი რა ჯანდაბად მინდა, შე ოჯახდანგრეულო!  
— თუ სადილობის დროს გული შეგიწუხდათ, ცხვირზე მაინც მოისვამთ და, თუ არა, სახლში წაიღებთ, დაგჭირდებათ.

კიდევ შეიძლება ამ დიალოგის გაგრძელება, მაგრამ მომხმარებელს ის უფრო აინტერესებს, სანამდე გაგრძელდება საჩუქრებისა და თბილისის ზოგიერთ სხვა მალაზიაში ამ ახალი მეთოდით ვაჭრობა და როდის დაასაჩუქრებენ იმ მუშაკებს, რომლებმაც საჩუქრების „საჩუქრებით“ გაყიდვა შემოიღეს.



სამშენებლო ორგანიზაციები საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროს ყურადღებას არ აქცევენ ეხოების კეთილმოწყობას.

ნახ გ. ფირცხალავასი  
— ამ მხრიდან გამოდით, ქალბატონო იზოლდა, აქ მხოლოდ მუხლამდე ტალახი.

**პატრონს დარჩეს, არა უშავს!**



სახინკლეში შევიარე მსურდა დამელია ლული, შევსვი, ფული მივაწოდე და ხურდისთვის მივუბრუნდი. მეზუფტე გამიჯავრდა, რალაც უშნოდ მოილუშა, მერე მკვანედ მომახალა: «ჩემთან დარჩეს, არა უშავს.»

ჩემს ქუჩაზე, ამას წინათ, თმა და წვერი გავიპარსე, როცა ფული მივაწოდე, მე მოლარემ მითხრა ასე: «ღმერთო ჩემო, რა კობტა ხარ, მშვენიერი, თმახუტუტა. რაო? ხურდა? წვილიმანია, «ჩემთან დარჩეს, არა უშავს!»

წამგლეჯების ეს ოინი, ჩემი ჯიბის წესებს ფუშავს, დააბრუნეთ ხურდა ფული, პატრონს დარჩეს, არა უშავს!

გ. ზოგბალღელი

ნ. ნუკიძე

გედევანი დაგვიანებით დაბრუნდა სამსახურიდან. ცოლი საყვედურით შეხვდა:

— მოკვდი ქალი შენს ლოდინში ამ კერძით სავსე ქვაბს დავდგამ ქურაზე გასაცხელებლად, ჩამოვდგამ გასაცივებლად. დავდგამ, ჩამოვდგამ. მშვენიერი წვნიანი საჭმელი მოვამზადე და შილაფლავივით ჩაიხარა.

— ახალი ამბებია, ჩემო მაგული, ტრესტში. ზოგი მოხსნეს, ზოგი დააწინაურეს. პოდა. შემავიანდა ცოტა.

— შენ ხომ... არაფერი, პა?— შეერთა მაგული.

— მე არაფერი. აი, იპოლიტე კი დააწინაურეს. უხაროდეს ხათუნას, ქმარი განყოფილების უფროსი ჰყავს.

— მერე, შენ რაღა გიხარია, გაბადრულ მთვარეს რომ დაგეგმავა შაგ სახე?... აბილილიდა მაგული.

— ამხანაგის კარგი რატომ უნდა მეწყინოს. დაიმსახურა და დააწინაურეს კიდევ.

— შენ კი არ დაიმსახურე? შეაბერილი მაგ ტრესტს, მაგრამ ვინ დაგიფასა ამავი.

— დრო მოვა, ჩემო მაგული, და მეც დამაწინაურებენ.


— მაგ დაპირება მე შენგან დიდი ხანია მესმის. არა, ჭირიმე, შენი ხასიათის პატრონი ავრე ადვილად ვერ დაწინაურდება. ვის დაემგვანე, შე საწყალო, ვის?... ვაი ჩემი ცოდვა შენს ხელში, ხათუნას დასაცანიც გამხადე?! საბრალო დედაჩემმა რომ იცოდეს რა დღეში ვარ მისი წყალობით, სიმწრისაგან ალბათ საფლავში გადაბრუნდებოდა... ადამიანო, ასე უბრალო მოადგილის თანამდებობით აპირებ ჩემს დაბერებას?!

— მაჭამე სადილი, მაგული... რას შემინდი?— გაბრაზდა გედევანი, მაინც რას მირჩევ, რა უნდა გავაკეთო, რომ შენი გული მოვიგო?

— უფროსის გული უნდა მოიგო შენ გლახა, უფროსის... გზაზე ნუ გადაუდგები, კრებებზე ნუ აკრიტიკებ... რომ აყუდებულხარ სატელევიზიო სადგურის ანძასავით და თავი მოგაქვს შენი სიმაღლით, მმართველის დანახვაზე მოიხარე პატარა და ნუ მოუჩრდილავ მზის სინათლეს იმ კაცს. კბილიც რომ გტკიოდეს, ღიმილით ელაპარაკე. აგრძობინე, რომ გიხარია მისი ნახვა. შენ გგონია იპოლიტე ამაზე მეტ რამეს უკეთებს შენს უფროსს? მაგრამ ხომ ნახე, მოკლე დროში განყოფილების უფროსის თანამდებობაც ჩაიგდო ხელში. დარწმუნებული ვარ, შენ არც კი იცი როდის არის შენი მმართველის დაბადების დღე. არ იცი ხომ?... ზუსტად ერთი კვირის თავზეა. ხათუნა და იპოლიტე თურმე უკვე ერთი თვეა ემზადებიან ამ დღისათვის. ამ დღით მკითხა: თქვენ თუ აპირებთ რამესო?... კინაღამ

# ქართული

## შეხვედრები



შევიშალე ქალი! ასეთ რამეს რატომ უნდა გამოვჩეთ მე და შენ, გედევან? არ იცი, კაცს რომ სულ პატარა რამეც უხარია?... შენი ბედის განმგებელს როგორ უნდა დაამადლო ყურადღება, გედევანი..

— კარგი ერთი, გააბი შენც. მაგას როგორ ვიკადრებ!

— არ იკადრებ?!— შეიცხადა მაგული და კერძით სავსე მათლაფა განზე გასწია.— არც არის საჭირო, თუ არ შეგრცხვება, მე ვითავე ამ მისიას!

— არ გაბედო, მაგული!

— ისე გაგებდავ, შენი მოწონებული! ვითმინე რამდენიც შემიძლო. ახლა კი გასკდა მოთმინების ფილა. კმა-რა!.. ამ საღამოსვე მივალ მხატვართან, ზეთის საღებავებით გავადიდებინებ შენი მმართველის სურათს. ჩავსვამ ლამაზ მოვარაყებულ ჩარჩოში პორტრეტს და ჩვენი თჯახის სახელით მივულოცავ დაბადების დღეს.

— მაგული, ჭკუიდან არ შემშალო! ქვეყანა გაიგებს, უხერხულია, სირცხვილია, რას იტყვიან!

— საგიჟეში წასაყვანიც რომ გახდე, ჩემს გადაწყვეტილებასზე ხელს ვეღარ ამალბინებ!— დაიქადა მაგული.

ის დამე თეთრად გაათენა გედევანმა. ის იყო ჩათვლემას დააპირებდა, რომ თვალწინ წარმოუდგებოდა მოვარაყებული ჩარჩო მმართველის პორტრეტით და ძილი გაუფრთხებოდა. მეორე დილას არც უსაუზმნია, ისე წავიდა სამსახურში. მთელი დღე თვალი ვერ გაუსწორა თანამშრომლებს. არ იცოდა რა ელონა, როგორ აეცილებინა სირცხვილი, რომელსაც უმზადებდა ცოლი. უცებ ერთი აზრი დაეხადა თავში. მაშინვე ტელეფონით დარქვა შინ:

— იცოდე, მაგული, შენს ახირებას თუ არ მოიშლი, შინ არ მოვალ და საცხოვრებლად ჩემს დასთან გადავალ.

— კისრამდე ვალეში ჩავევალი, გედევან, ახლა აღარც შეიძლება უკან დახვევა. უცნაური ხარ!.. შენი გულისთვის წყალში ჩავდექი, ცეცხლი მიკივია და კიდევ აქეთ მისაყვედურებ?! არ მოხვალ და ნუ მოხვალ. ახლა მაინც არა მაქვს შენი მოვლის თავი. წადი, წადი შენს დასთან, მიგხედოს ეს ერთი კვირა, მაღლობის მეტს არაფერს გეტყვით ერთსაც და მეორესაც!— გულგრილად თქვა მაგული და ყურმილი ჩამოჰკიდა.

ის ერთი კვირა არ მოუსვენია მაგულის. დილიდან საღამომდე მხატვარს უჯდა სახელოსნოში და აჩქარე-

ბდა, სურათი დანიშნული დროისათვის დაემთავრებინა. მართლაც, საჩუქარი დათქმულ დღეს მზად იყო. დღის ბოლოსთვის მაგულიმ პორტრეტი თეთრ ქაღალდში გაახვია, აბრეშუმის ზონრით შეკრა, თვითონ საგანგებოთ გამოეწყო, ჩაჯდა ტაქსში და ტრესტის მმართველთან გაემგზავრა.

მმართველის მოსაცდელ ოთახში მდივანი ქალის მეტი არავინ იყო. მაგული მეტად გაახარა ამ ამბავმა, რომ მოწმეების დაუსწრებლად გადასცემდა საჩუქარს დანიშნულბინამბერ. მედიდურად გადაულაპარაკა მდივანს, მოეხსენებინა მმართველისათვის მის შესახებ. და, როდესაც ნებართვა მიიღო კაბინეტში შესვლაზე, განსაკუთრებული საზეიმო განწყობით დაიჭირა ხელში ვეებერთელა სურათი და ოთახში შევიდა.

სახტად დარჩენილი მაგული, შემკრთალი მიაჩერდა სამუშაო მაგი-

დასთან მჯდომ მამაკაცს, რომელიც: საქმიანი სახით რაღაც ქაღალდებს კითხულობდა.

— გედევან, შენ?! კი მაგრამ... რატომ არ გამაფრთხილებ?! მე ხომ კისრამდე ვალეში ჩავევალი ამ საჩუქრის გამო.

— გითხარი, დრო მოვა, მეც დამაწინაურებენ-მეთქი, მაგრამ, რომ არ დამიჯერე.

— სად წავიგო ახლა ეს სურათი?— ატირდა ერთბაშად მაგული და გაბრაზებულმა, უფრო კი სირცხვილისაგან დამწვარმა, იატაკზე დაანარცხა მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი.

ნანა კანდელაკი

